ვიდეოთვალთვალის გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნორმატიული სტანდარტი და მათი პრაქტიკული იმპლემენტირება

ვასილ ალადაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

ხელმძღვანელი: კახაბერ გოშაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვასილ ალადაშვილი

წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში „ვიდეოთვალთვალის გამოყენებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ნორმატიული სტანდარტი და მათი პრაქტიკული იმპლემენტირება“ შესწავლილ იქნა პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი გარანტიები ევროკავშირსა და სხვა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ვიდეოთვალთვალი პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ვიდეოთვალთვალის სისტემა განისაზღვრება, როგორც ადამიანის ნებისმიერი აქტივობის მოვლენის, ან პირის ვიზუალური და ხმოვანი მონიტორინგი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით. ვიდეოთვალთვალის სისტემის საშუალებით გაკეთებული ჩანაწერი პერსონალურ მონაცემად ითვლება, როდესაც ვიდეოგამოსახულებაზე ან ფოტოზე ადამიანის სახის გამოსახულების გარჩევა (პირდაპირი იდენტიფიკაცია) შესაძლებელია. პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი, რომელიც შედარებით ახალია საქართველოსთვის, თანდათან ვითარდება ეროვნულ სამართლებრივ ლიტერატურაში. არის კვლევები, რომლებშიც პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხები გაანალიზებულია სამართლის სხვადასხვა დარგის, კერძოდ, ადმინისტრაციული, შრომითი და სისხლის

ს

ა

მ

ა

რ

თ

ლ

ი

ს

კ

უ

თ

ხ

ი

დაცვის საკითხების ღრმა თეორიული გააზრება. წარმოდგენილ ნაშრომში შეფასდა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული მთავარი პრიორიტეტების დანერგვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი საქართველოში.

დასკვნით ნაწილში მოცემულია ძირითადი მიღწევები და გამოწვევები, ცვლილების შესაძლო გზები და რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.